პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

10 ოქტომბერი, შაბათი, 1987 წ. ◆ №15 (3017) ◆ 10 ОКТЯБРЯ, СУББОТА, 1987 г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## ЧТО ТОРМОЗИТ ПЕРЕСТРОЙКУ?

Насущная необходимость перестройки работы органов внутренних дел республики в соответствии с требованиями времени сегодня четко осознается всеми сотрудниками МВД ГССР. Однако не во всех подразделениях этот процесс идет гладко, кое-где никак не могут преодолеть инерцию прошлых лет. Еще раз наглядно подтвердило это комплексная проверка оперативно-служебной деятельности УВД Тбилгорисполкома, осуществленная в августе т. г. бригадой МВД ГССР.

Проведенная проверка показала, что органы и подразделения внутренних дел Тбилисского гарнизона на протяжении последних лет обеспечивают в городе общественный порядок и в целом стабильную оперативную обстановку при снижении уровня преступности по линии уголовного розыска и относительно высокой раскрываемости преступлений. Определенная положительная работа проделана в УВД г. Тбилиси по борьбе с хищениями социалистической собственности, взяточничеством и другими корыстными преступлениями. Улучшены показатели по выявлению замаскированных преступлений.

Вместе с тем инспектирование показало, что перестройка деятельности аппарата УВД в соответствии с требованиями XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии, последующих Пленумов ЦК КПСС, приказов и указаний МВД СССР и МВД ГССР осуществляется медленно.

Вследствие серьезных недостатков в деятельности уголовного розыска в текущем году в г. Тбилиси резко возросло число умышленных убийств, тяжких телесных повреждений, грабежей. Наибольший рост числа убийств и покушений на них имел место в Глданском и Первомайском районах.

Слабо организована борьба с имущественными преступлениями, рост краж отмечается в Сабурталинском и Калининском районах, высок их уровень и в Ленинском, Глданском, Первомайском районах. Раскрываемость этого вида преступлений остается низкой.

Анализ контингента лиц, задержанных за совершение краж, показывает, что многие из них ранее были судимы и не занимались общественно полезным трудом. Это свидетельствует о неудовлетворительной организации индивидуально - профилактической работы среди лиц указанной категории, в первую очередь, со стороны участковых инспекторов милиции. Более половины грабежей и разбойных нападений, совершенных в г. Тбилиси, приходятся на Ленинский, Глданский, Калининский районы и район им. 26 комиссаров.

За последнее время снижена активность борьбы с наркоманией. Неудовлетворительно раскрываются преступления прошлых лет, существенные недостатки наблюдаются в организации розыска преступников.

Результатом недостаточно эффективной индивидуально-воспитательной работы с подучетными несовершеннолетними, формального отношения к шефству и наставничеству и других недостатков явился ряд серьезных преступлений, совершенных подростками. В их числе убийства, тяжкие телесные повреждения, разбойные нападения, кражи и т. д.

Выявлены проверкой и серьезные недостатки в работе службы БХСС, заметное негативное влияние на работу которой оказывает отсутствие требуемого взаимодействия с другими службами, особенно с участковыми инспекторами милиции.

(Окончание на 2-й стр.).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რამდენიმე დღის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს ბოლნისის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცველი ორგანოების მიერ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, აღინიშნა, რომ გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ გამოირჩევა სათანადო ეფექტიანობით. რაიონში არ წარმოებს მიზანმიმართული მუშაობა ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის, შემცირებულია ფხიზელი ცხოვრების წესის პროპაგანდისათვის გამიზნული იდეოლოგიური, აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტიანობა.

ამ მიმართულებით სამდივნომ პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა არასაკმარისად ცნო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაავალა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომს მკაცრად, პარტიულად მოჰკითხოს იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საშიში სოციალური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებაში, დასახოს და განახორციელოს ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალისტურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალურ საკითხებზეც.



ჩვენს დედაქალაქში გრძელდება სახელმწიფო ავტოინსპექციის მიზნობრივი რეიდები. 8 ოქტომბერს გამოვლინდა 11 ნასვამი, 80 სიჩქარის, 200 საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის დამრღვევი მძღოლი.

ეს სურათი ჩვენ ქალაქის ავტოინსპექციაში სწორედ ერთ-ერთი მორიგი რეიდის წინ გადავიღეთ — ავტოინსპექტორებს ინსტრუქტაჟს უტარებს საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი ზ. ლორია.

რ. ანტონიანის ფოტო.

### СПРАВОЧНИК ПАРТИЙНОГО РАБОТНИКА

Вышел в свет двадцать седьмой выпуск «Справочника партийного работника». В него включены документы XXVII съезда КПСС, материалы Пленумов ЦК КПСС, сообщения о заседаниях Политбюро ЦК, совещаниях и встречах в ЦК КПСС, постановления Центрального Комитета КПСС, ЦК КПСС и Совета Министров СССР, постановления Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР, пленумов ВЦСПС и ЦК ВЛКСМ, другие материалы за период с января по декабрь 1986 года. Документы расположены по соответствующим тематическим разделам.

## На оперативном совещании при министре внутренних дел ГССР

Информационным центром МВД ГССР подведены итоги борьбы с преступностью и охраны правопорядка за сентябрь текущего года. Отмечается, что в сентябре оперативная обстановка в республике несколько осложнилась. Несмотря на то, что общее число преступлений, зарегистрированных по всем линиям, уменьшилось на 1,1 процента, на 3,4 процента возросло число преступлений, регистрируемых по линии уголовного розыска, на 4,3 процента ухудшилась их раскрываемость. Стабильно число тяжких видов преступлений, показатель раскрываемости которых уменьшился на 2,4 процента.

Как и по итогам 9 месяцев, в сентябре текущего года негативное влияние на состояние оперативной обстановки в республике оказал рост количества преступлений, направленных против личности, в том числе умышленных убийств, умышленных тяжких телесных повреждений, изнасилований. Больше зарегистрировано грабежей и мошенничеств, совершенных с целью завладения государственным имуществом, краж и грабежей личного имущества, угонов автотранспорта. Осложнилась обстановка и на автодорогах республики. Возросло на 17,3 процента число дорожно-транспортных происшествий, на 14,6 процента — со смертельным исходом. На 43,2 процента уменьшилось число выявленных преступлений, связанных с наркотиками.

Вместе с тем в сентябре на 100 процентов меньше зарегистрировано покушений на изнасилование, на 21,1 процента — краж госимущества, на 100 и 16,7 процента — разбойных нападений с целью завладения государственным и личным имуществом, на 50 процентов — хищений личного имущества путем мошенничества, на 16,2 процента — хулиганств.

Сохраняется тенденция снижения правоприменительной практики в борьбе с незаконным изготовлением, сбытом и хранением спиртных напитков. Число выявленных преступлений данной категории снизилось на 64 процента.

В сентябре несколько снизилась активность в выявлении преступлений по линии БХСС, в результате чего показатели уменьшились на 6,2 процента.

В сентябре отмечено ухудшение оперативной обстановки в г. Тбилиси, где общее число преступлений по линии уголовного розыска возросло на 3,3 процента, их тяжких видов — на 16 процентов, а также в городах и районах республики (рост преступлений по линии уголовного розыска составил 18,5 процента, а тяжких видов — 13,8 процента).

გარდაქმნის პროცესი განუყრელად უკავშირდება სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების საბჭოური ცხოვრების წესის განმტკიცებას. ღრმა იდეური მრწამსი, უდიდესი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედ-იღბლისათვის, ბოლშევიზმის ლენინური ეთიკის განუხრელი დაცვა — ეს მოთხოვნები თანამედროვე ვითარებაში განსაკუთრებული სიმწვავით დგას მთელი ჩვენი კადრების წინაშე. ისინი უნდა წარმოადგენდნენ იდეური სიმტკიცის პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის, სიტყვის ერთგულების, პატიოსნების, წესიერების, მოუხყიდველობის, თავმდაბლობის, სოციალისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრისადმი შეურიგებლობის ნიმუშს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მასალებიდან.

## ზონალური კონტროლის ეფექტურობისათვის

საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების მიერ ზონალური მუშაობის შემოწმებამ დაგვანახა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურში ზონალური კონტროლის ეფექტურობის ამაღლებისათვის გარკვეული ღონისძიებებია გატარებული, რომელიც სათანადო ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება.

დიდი ყურადღება ექცევა ადგილებზე ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა-გაუმჯობესებას, შს საქალაქო და რაიონული განყოფილებებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, შესაბამის სამსახურთან ერთად დაწესებულია ზონალური კონტროლი უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზონალური კონტროლის ეფექტურობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი სამსახურები ნაკლებ ინფორმაციებს იღებენ ადგილებიდან აქ არსებული ოპერატიული ვითარების შესახებ.

ზონალური კონტროლის ეფექტურობა საგრძნობლად შეუწყობდა ხელს სამსახურებრივი მივლინებების ორგანიზაციის საქმეში

(დასასრული მე-2 გვ-ზე)

# ЧТО ТОРМОЗИТ ПЕРЕСТРОЙКУ?

ОКОНЧАНИЕ.

В текущем году снизилось качество следственной работы, больше возвращено уголовных дел на дополнительное расследование, получен ряд представлений органов прокуратуры и частных определений нарсудов.

По-прежнему малоэффективна работа патрульно-постовой службы. В текущем году заметно ослаблена работа по преодолению пьянства и алкоголизма, что в свою очередь обусловило увеличение преступлений, совершенных в состоянии опьянения. Наиболее тревожное положение в этом плане сложилось в Заводском районе и районе им. 26 комиссаров. Роль служб уголовного розыска, БХСС, ГАИ, ОВО, ППС в борьбе с пьянством недостаточна. Реже стало применяться привлечение к административной ответственности за нарушение антиалкогольного законодательства.

В столице республики все еще остается высоким уровень дорожно-транспортных происшествий. Работа дорожно-патрульной службы и аппаратов ГАИ по профилактике и предупреждению происшествий недостаточно эффективна. Допущен рост числа ДТП в Заводском, Глданском и Октябрьском районах. Серьезное беспокойство вызывает состояние аварийности на государственном транспорте. В административной практике по линии ГАИ допускается много нарушений Указа Президиума Верховного Совета СССР «Об административной ответственности за нарушение правил дорожного движения» и других нормативных актов.

Серьезные недостатки в процессе проверки были выявлены в организации службы пожарной охраны, в частности в профилактической работе аппаратов Госпожнадзора. Деятельность этой службы перестраивается медленно, отсутствует должный контроль за выполнением хозорганами противопожарных мероприятий.

Проверка показала также, что не налажено должное взаимодействие с общественностью. Работа общественных формирований органами внутренних дел не направляется и пущена на самотек.

Указанные выше недостатки в выполнении оперативно-служебных задач объясняются, в первую очередь, медленным улучшением стиля, форм и методов руководства. Организующая роль аппарата УВД Тбилгорисполкома, его управленческое влияние на подведомственные органы и подразделения остаются недостаточными. До последнего времени принижалась роль в организации работы заместителей начальника УВД, руководителей отраслевых служб, районных отделов внутренних дел.

Недостаточно внимания уделяется повышению уровня и качества планирования деятельности, особенно в звене РОВД. Не выдерживает критики состояние аналитической работы. Не обеспечен системный контроль за исполнительской дисциплиной. Более половины контрольных документов, в том числе жалоб и заявлений граждан, выполняется с нарушениями установленных сроков.

В практике деятельности органов внутренних дел г. Тбилиси не изжиты нарушения социалистической законности: неоправданные задержания, аресты и привлечения граждан к уголовной ответственности. Распространено укрытие преступлений от государственного учета.

Эти нарушения являются прямым результатом издержек в осуществлении кадровой политики, которая характеризуется просчетами в комплектовании личного состава, в воспитании и обучении сотрудников.

В настоящее время, в соответствии с приказом, изданным по итогам проведенной бригадой МВД ГССР проверки, намечены конкретные мероприятия по устранению выявленных недостатков. Усилия всех руководящих работников, всех сотрудников УВД Тбилгорисполкома должны быть направлены на их безусловное и полное претворение в жизнь.

Материалы о перестройке работы УВД Тбилгорисполкома будут опубликованы в одном из ближайших номеров нашей газеты.

ანგარიშგება-არჩევნები კომკავშირში

# თვითკრიტიკის ვითარებაში

დისციპლინის განმტკიცება ყველა რგოლში, ზრუნვა ახალგაზრდობის წრთობისათვის, თანმიმდევრული და უკომპრომისო ბრძოლა ნარკომანიასთან და დანაშაულის ყოველგვარ გამოვლინებასთან — ასეთი იყო ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის წევრების საუბრის საგანი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

კომკავშირის XXXIII ყრილობამ კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე კონკრეტული ამოცანები დასახა და ამიტომ რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის წლევანდელ კრებაზე კონკრეტულ საკითხებზე იყო კამათი.

აღინიშნა, თუ რა წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა ჩეკისტებმა დანაშაულის პროფილაქტიკის, სოც. კანონიერების განმტკიცებისა და საერთოდ, რაიონის შს განყოფილების საქმიანობაში. თვითკრიტიკულად შეფასდა ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული მუშაობა, ზოგიერთი კომკავშირელის დისციპლინა, სამორიგეო ნაწილის მუშაობა. დაისახა მისი გამოსწორების გზები.

კრებაზე გამოვიდნენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მილიციელი მ. საცერაძე, სამორიგეო ნაწილის მილიციელები ბ. ოსაძე, ბ. სარალიძე და სხვები. რომლებმაც კრიტიკა სამართლიანად მიიჩნიეს და კრებას აღუთქვეს, რომ ყველაფერს იღონებენ მუშაობის გარდასაქმნელად.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ზესტაფონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ა. კიკნაძე. შს რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად კვლავ აირჩიეს გ. გაბეხაძე — არასრულწლოვანთა ინსპექციის უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

გვჯერა, რომ ზესტაფონელი კომკავშირლები დროს არ ჩამორჩებიან და მუშაობის სრული გარდაქმნით ღირსეულად შეხვდებიან დიდი ოქტომბრისა და საბჭოთა მილიციის 70 წლის იუბილეს.

**ა. არევაძე,**
**ზესტაფონის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**



# ორგანიზებულად დაიწყო

სამტრედიის შს რაიგანყოფილების პოლიტსწავლების სისტემაში ორგანიზებულად დაიწყო სასწავლო წელი. ჯგუფების მსმენელთა წინაშე სისტემატურად გამოდიან საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის ლექტორები, რომლებსაც მაღალკვალიფიციურად, რაიონისა და ქალაქის პრაქტიკული ცხოვრებისა და საქმიანობის ცოცხალი მაგალითებით დაჰყავთ პირად შემადგენლობამდე შესასწავლი თემები და მასალები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივანთან, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელ ა. ქუთათელაძესთან განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის კონტაქტები. გამონაკლისი არც პირველი მეცადინეობა ყოფილა, ა. ქუთათელაძის შეხვედრამ სასწავლო ჯგუფებთან და მისმა ლექციამ მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მსმენელებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი მუშაობის გარდაქმნისა და მაღალი სამსახურეობრივ-ოპერატიული საბოლოო შედეგების უზრუნველყოფისათვის განყოფილებაში გასატარებელ ღონისძიებებზე.

**რ. ღირდალაძე,**
**განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**

**სურათზე:** მიმდინარეობს მორიგი მეცადინეობა.

# РЕШАТЬ ПРОБЛЕМЫ СВОЕВРЕМЕННО

**ПОСЛЕ КРИТИКИ**

Основная цель критических выступлений газеты заключается в выявлении недостатков, имеющихся в работе органов и подразделений внутренних дел республики, содействии в скорейшем решении наболевших проблем. В качестве примера можно привести опубликованный в номере нашей газеты от 29 августа под рубрикой «Фотофакт» материал, в котором критиковалось антисанитарное состояние служебных помещений и кухонных принадлежностей СВПЧ-7.

Недавно редакцией получен ответ руководства подразделения, в котором указывается, что опубликованные в газете критические замечания соответствуют действительности. Коллектив подразделения, обсудив материал на открытом партийном собрании, наметил мероприятия по устранению недостатков. Виновные в антисанитарии должностные лица приказом начальника подразделения наказаны в административном порядке. За халатное отношение к служебным обязанностям, выразившееся в бесконтрольности, беспринципности при приеме и сдаче дежурства, строгий выговор объявлен коменданту СВПЧ-7 М. Джолия, выговор — начальнику караула, старшему лейтенанту внутренней службы М. Шиукашвили.

Что же касается приведения в порядок внешнего вида здания и служебных помещений СВПЧ-7, сообщает далее руководство части, — сделать это силами подразделения не представляется возможным. Здание в настоящее время находится в аварийном состоянии, девятый год в подвальных помещениях стоят грунтовые воды до 1,5 метра глубиной, что создает сырость и повышенную влажность воздуха в служебных помещениях, отрицательно влияет на здоровье личного состава подразделения. Эти же недостатки отмечаются и в акте осмотра служебно-бытовых помещений СВПЧ-7 Санэпидстанцией Октябрьского района, которая признала нецелесообразным пребывание личного состава подразделения в аварийном здании. Партийное собрание решило обратиться с просьбой об ускорении перевода СВПЧ-7 в более благоустроенное помещение к партийным и советским органам Октябрьского района г. Тбилиси и руководству МВД ГССР.

«Положение в СВПЧ-7 действительно серьезное, выправить его мы пытаемся уже более пятнадцати лет, — рассказывает нам начальник УПО МВД ГССР полковник внутренней службы Д. Сурмава, — к сожалению, нет возможности подыскать в центре города на территории Октябрьского района подходящее место для строительства нового здания пожарной части. Объективные трудности создает и работа строительных организаций столицы республики, в частности СМУ № 4 треста «Инжстрой» Тбилгорисполкома, не обеспечивших в соответствии с Постановлением ЦК КП Грузии и Совета Министров Грузии от 19 ноября 1985 года «О мерах по дальнейшему повышению пожарной безопасности в г. Тбилиси», своевременный ввод в эксплуатацию новых зданий пожарного депо Первомайского района и технического отряда УПО МВД ГССР, на территорию которых предполагалось перевести СВПЧ-7. До конца текущего года должно, наконец, закончиться строительство базы технического отряда в Заводском районе, после чего нынешнее здание до конца 1988 года будет реконструировано и передано СВПЧ-7. Это существенно улучшит положение со служебно-бытовыми помещениями подразделения, хотя и, надо сразу оговориться, не решит всех проблем. Так, в частности из-за недостатка территории, не будет возможности соорудить спортплощадку, учебную башню и т. д.».

Что ж, так или иначе, но данная проблема требует своего скорейшего решения — ведь от этого во многом зависит психологический настрой коллектива части, а следовательно, и успешное выполнение возложенных на него ответственных задач по обеспечению пожарной безопасности в столице республики.

**А. ЦАТУРОВ.**

**НА СНИМКАХ:** в таком вот положении находится в настоящее время ряд служебных помещений СВПЧ-7.



# ზონალური კონტროლის ეფექტურობისათვის

**(დასასრული)**

არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. ბევრია უგეგმო მივლინებები, ცუდადაა ორგანიზებული მათი აღრიცხვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცენტრალური აპარატის თანამშრომლები მივლინებაში ყოფნისას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შესაბამისი სამსახურებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის საკითხს. ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის ზოგადი გაცნობითა და წვრილმანი მეურვეობით კმაყოფილდებიან. ასეთი მაგალითები იყო სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით მახარაძეში, ქარელში, ხაშურში, სოცსაკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების ხაზით — გარდაბანში, რაც ტერიტორიალური ორგანოების თანამშრომელთა პასიურობას, სხვის მოიმედეობას იწვევს. ზონალური თანამშრომლის მუშაობა უნდა ფასდებოდეს არა ამგვარი წვრილმანი მეურვეობით, არამედ, საბოლოო შედეგით, ქალაქებსა და რაიონებში რეალური ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებით. თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზონალური სამსახურებს შორის ღონისძიებათა ურთიერთკოორდინაციას. ხშირად გვხვდება დუბლირებისა და პარალელიზმის ელემენტები და სხვა. უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების მუშაობა ამ მიმართულებით.

ნაკლოვანებების გამოსასწორებლად უკვე დაისახა კონკრეტული გზები: საქართველოს სსრ შს სამინისტროს კოლეგიაზე საორგანიზაციო-საინსპექტორო და სხვა განყოფილებების უფროსებს დაევალათ ამ მხრივ ძირეულად გააუმჯობესონ ზონალური მუშაობა, აამაღლონ მისი ეფექტურობა, გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა სამინისტროს ცენტრალური აპარატი მტკიცედ ფლობდეს მართვის სადავეებს, რაც აუცილებელი პირობაა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის გარდასაქმნელად თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

**ქ. ბუჯიაშვილი**
**საქართველოს სსრ შს სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

Заря Востока
კომუნისტი
Молодежь Грузии

## რესპუბლიკური პრესის მიმოხილვა

გაზეთი „კომუნისტი" — 4 ოქტომბერი, თ. გიორგობიანი „ნეტამც კი პირიქით იყოს".

ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს ქალაქის ატმოსფეროს ავტომანქანის გამონაბოლქვით გაბინძურებით უკონტროლობაზე, კერძოდ, ჩვენი ავტოინსპექციის მუშაობაზე ამ მხრივ: „... გავიკითხ-გამოვიკითხეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მილიონიან ქალაქში მხოლოდ თითო-ოროლა მოქალაქე ვნახეთ, რომლებმაც დაგვიდასტურეს, ამა და ამ დროს მავანმა ავტოინსპექტორმა ავტომანქანა გააჩერა და მოკრძალებულად შენიშნა, შეგვაწუხა თქვენი მანქანის კვამლმა, ვაითუ თქვენც რამე გავნოთო..." — წერს ავტორი.

**ამავე გაზეთის 6 სექტემბრის ნომერში, რუბრიკით: „რა მოგვდის, რა გვემართება" გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი „მძღოლებო, ნუ დაობლებთ ოჯახებს!"**

სადაც მოცემულია საკმაოდ შემაშფოთებელი ციფრი: წელს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მიერ გამოვლენილია 9.924 მთვრალი მძღოლი!

„გამოვფხიზლდეთ ხალხნო, ნუ დავაობლებთ სხვის და საკუთარ ოჯახებსაც!" — მოგვმართავს რედაქცია.

**7 სექტემბერს იგივე რუბრიკით საქინფორმმა შემზარავი ფაქტი მოგვაწოდა, რომელიც მარნეულის გზაზე მოხდა.**

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, სახავტოინსპექციის საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების თავიდან აცილების მიზნით, უნდა განიხილოს აღნიშნული საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა. იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს ბიუროკრატიზმი და უპრინციპობა, არაფერი იღონეს აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ზემოხსენებული უხეში დარღვევების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენონ ადმინისტრაციული ზემოქმედების მკაცრი ზომები.





შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ და დედაქალაქის ავტოინსპექციამ დანერგეს და პირველი ოქტომბრიდან უკვე ამუშავდა სიჩქარის ავტომატიზებული კონტროლის დანადგარები — „ფოტოინსპექტორები", რომლებიც აფიქსირებენ სიჩქარის გადაჭარბებას. ორი მათგანი უკვე დამონტაჟებულია კახეთის გზატკეცილზე, ორიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

რ. ანტონიანის ფოტო.

# НА ПУТИ К ИСПРАВЛЕНИЮ

**О работе отдела инспекции исправительных работ и трудоустройства Сухумского РОВД рассказывает инспектор ИИРиТа капитан милиции Л. Бощеван:**

— Виды наказаний, предусматриваемые советским уголовным законодательством, наряду со строгими мерами по отношению к лицам, совершающим злостные нарушения, предусматривают и более гуманные, не связанные с лишением свободы наказания. Самыми эффективными из них считаются такие, как исправительные работы, без изоляции правонарушителей от общества, осуждение к лишению свободы с отсрочкой исполнения приговора и «условно» с испытательным сроком.

Инспекция исправительных работ Сухумского райотдела внутренних дел постоянно укрепляет взаимодействие с организациями, предприятиями, колхозами и совхозами, широко используя их помощь в работе с лицами, отбывающими наказания, не связанные с лишением свободы. Так, например, в результате проведенных политико-воспитательных мероприятий инспекцией исправительных работ и коллективом цитрусоводческого совхоза им. В. И. Ленина, решением нарсуда Сухумского района был освобожден условно - досрочно от наказания рабочий совхоза Д. Гочьян, осужденный ранее к исправительным работам сроком на два года.

К лицам, ставшим на путь исправления, сегодня уже можно отнести таких, как рабочий Абхазского объединения «Грузкоопсельпромзаготторга» Цекавшири А. Копалиани, колхозник В. Закарян, рабочий треста гидроизоляции «Союзантисептик» О. Гогия, рабочий цитрусоводческого совхоза «Эшера» В. Доваджян.

Конечно, стопроцентного показателя в перевоспитании осужденных мы еще не достигли, но эффективность этой работы несомненна. И главная роль в этой нелегкой работе по-прежнему наряду с правоохранительными органами отводится администрации предприятий и учреждений, колхозов и совхозов, призванной заниматься вопросами трудоустройства каждого конкретного лица, отбывающего исправительные работы. Особое значение эта работа приобретает сейчас, когда в соответствии с Указом Президиума Верховного Совета СССР готовится амнистия большого числа осужденных, к которым впоследствии необходимо будет проявить больше внимания, оказать помощь в трудоустройстве.

ИЗ ИСТОРИИ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

# В НАЧАЛЕ СЛАВНЫХ ДЕЛ

Славный и героический путь прошли органы внутренних дел Юго-Осетии за годы Советской власти. Структура милиции Юго-Осетии 1922 — 1927 гг. была следующей: центральным ее органом была Главмилиция, как тогда именовали Главное управление, в состав которого входило 28 человек. Управление руководило деятельностью всех органов милиции, расположенных на территории области, издавало приказы, распоряжения. Территория области была разбита на 5 милицейских районов: Цхинвальская, Джавская, Ортевская, Корнисская и Ахалгорская милиции. Их деятельностью руководил начальник, имевший в штате старших и младших милиционеров. Юго-Осетинская милиция была создана как глубоко интернациональный орган. В ее рядах были представители многих братских народов нашей страны. Среди славных имен первых советских милиционеров мы встречаем: осетин — Александра Константиновича Джиоева, Максима Зурабовича Гассиева, Василия Алексеевича Джигкаева, Федора Ражденовича Цховребова, Баграта Михайловича Санакоева, Кима Зурабовича Цховребова, Сардиона Максимовича Гатикоева, Даниела Максимовича Гатикоева, Мушкела Гавриловича Гучмазова и многих других; грузин — Федора Георгиевича Манделашвили, Нико Шалвовича Башарули, Шакро Терашвили, Ивана Двалишвили, Михаила Семеновича Казахашвили; армян — Александра Сааковича Читаева, Николая Давидовича Хачатурова; русских — Филиппа Левковского, Павла Короленко и других.

В 1922 — 1927 гг. сотрудники Юго-Осетинской милиции на 100 процентов были выходцами из крестьян. В 1927 году в милиции было 20 человек неграмотных, с начальным образованием — 69, со средним — 1. Сотрудников с высшим образованием в милиции в этот период не было. Важными задачами в этот период были ликвидация неграмотности, организация политического воспитания, а также повышение профессиональной квалификации милицейских работников. Милиционеры регулярно посещали ликбезы и, как отмечалось в отчете НКВД за 1925 год, «в недалеком будущем безграмотность будет ликвидирована». Многие милиционеры учились на курсах при Тбилисской школе милиции.

В отчете НКВД Юго-Осетии за 1926 год отмечалось, что «дисциплина среди работников милиции поставлена удовлетворительно. Дисциплинарный устав усвоен и проводится в жизнь». Основной задачей милиции являлось проведение в жизнь законов и декретов Советской власти и решений местных органов. В ее обязанности входило: оповещение населения о распоряжениях органов власти, наблюдение за исполнением гражданских законов и декретов органов власти по учету, распределению и соблюдению твердых цен на продукцию промышленности и сельского хозяйства, оказание помощи и содействия государственным органам при исполнении ими своих обязанностей, выдача удостоверений личности, трудовых книжек, справок, свидетельств. Однако основной задачей милиции была охрана революционного порядка и общественной безопасности. Сотрудники Юго-Осетинской милиции успешно боролись против преступников, бандитов, воров и других нарушителей общественного порядка.

О характере преступности и эффективности работы Юго-Осетинской милиции по раскрытию преступлений говорят следующие данные. На 10 ноября 1922 года милиция Южной Осетии ликвидировала четыре бандитских группы, раскрыла восемь мелких краж, одно должностное преступление, три убийства и другие нарушения порядка. В отчете НКВД за 1923 год отмечалось, что «за ноябрь 1923 года работа милиции шла вполне удовлетворительно, благодаря энергичной работе случаев бандитизма совсем не было». Было раскрыто 6 случаев краж из семи, три должностных преступления, одно бандитское преступление. Сотрудники Юго-Осетинской милиции приняли участие в подавлении меньшевистского восстания, вспыхнувшего в 1924 г. в Грузии. В подавлении восстания принял участие Юго-Осетинский конный отряд. В самой области вооруженных выступлений против Советской власти не было, однако в Алхагорском районе была раскрыта контрреволюционная организация. Там же были ликвидированы милицией две банды. Юго-Осетинская милиция в этот период вела борьбу с хозяйственными и должностными преступлениями, со спекуляцией, хищениями, преступными действиями, направленными на срыв хлебозаготовок, и самогоноварением.



НА СНИМКЕ: группа сотрудников управления Юго-Осетинской милиции, 1933 г. (второй ряд, третий слева — начальник управления А. Газзаев, четвертый — его заместитель А. Джиоев).

Таким образом, Юго-Осетинская рабоче-крестьянская милиция с самого начала своего существования успешно выполняла важные задачи по обеспечению сохранности социалистической собственности, защите прав и имущественных интересов населения области.

М. САНАКОЕВ,
доктор исторических наук, заведующий отделом истории НИИ Академии наук ГССР.

# თავი „გამოიჩინეს"

## 3. ანუ რატომ არ იცავს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს ზოგიერთი თანამშრომელი

**საბჭოთა მილიციელის მთელი საქმიანობა ეყრდნობა სოციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას. სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება, შეგნებული დისციპლინა, თავდადება, მაღალი კულტურა, აი ახეთი ზნეობრივი მრწამსის მატარებელი საბჭოთა მილიციელი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს რაიმე დარღვევას, თვითონ არ ჩაიდენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, და ამ მხრივ სამაგალითოც იქნება. სამწუხაროდ, ამ რწმენით გამსჭვალული თანამშრომლების გვერდით გვხვდებიან ისეთებიც, რომლებმაც მხოლოდ არაკანონიერი მოქმედებით „გამოიჩინეს" თავი. ამჯერად მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევებზე გესაუბრებით.**

ახლახან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების ავტოსატრანსპორტო სამსახურმა (უფროსი, შ/ს მაიორი შ. ჯიხოშვილი) გაზეთ „მებრძოლი გუშაგისა" და სახავტოინსპექციის თანამშრომლებთან ერთად მოაწყო ერთობლივი რეიდი, რომლის „ეპიცენტრშიც" მელიქიშვილის მოედანი (ფილარმონიასთან) აღმოჩნდა. საგზაო მოძრაობის არსებული წესებით ავტომანქანებს ეკრძალებათ ამ მოედნის გადაკვეთა (საზოგადოებრივი ტრანსპორტის გარდა), მაგრამ ოთხიოდე საათში ჩვენ არაერთი დარღვევის მოწმენი გავხდით. რასაკვირველია პირველ რიგში გვაინტერესებდა ის, თუ როგორ მოძრაობდნენ ამ მონაკვეთზე შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მილიციის მუშაკს თურმე შეუძლია მოძრაობის წესების დარღვევასთან ერთად არ ჰქონდეს მართვის მოწმობა, სპიდომეტრის ჩვენება არ ემთხვეოდეს სამგზავრო ფურცლის მონაცემებს, სპიდომეტრიც დაუპლომბავი ჰქონდეს, ავტომანქანა კი ფერადი მინით დაამშვენოს. ჩამოთვლილი დარღვევებიდან უკანასკნელისთვის „ვოლგის" (0018გგგ) მძღოლი მილიციის უმცროსი სერჟანტი ა. წიკლაური ადრეც ყოფილა გაფრთხილებული, მაგრამ... მოძრაობის წესები დაარღვია მილიციის სერჟანტმა მ. კვირიკაშვილმა („ჟიგული" — ა0532გა), ამასთან, მას არ ჰქონდა პირადობისა და მართვის მოწმობები!?

ორმაგი დარღვევა ჩაიდინეს იმ მძღოლებმა, რომლებიც რეიდის მონაწილეთა მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და გზა განაგრძეს. აი ისინი: „ვოლგა" გაზ 24 — 0008გგგ (თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო), 1525 გაზ (პარტიული და საბჭოთა ორგანოების ნაგებობათა დაცვის განყოფილება), 2200გაზ (შრომა-გამასწორებელი დაწესებულებათა სამმართველო), 7915 გაზ (საქარხნო რაიონის შს განყოფილება), „ჟიგული" — 4646 გაა (ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა სამმართველო), 0402გგგ (საპატრულო-საგუშაგო სამსახური).

ბ. თათეიშვილი.

**რედაქციისაგან: გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" თანამშრომლები კვლავაც მიიღებენ მონაწილეობას მსგავს რეიდებში და მთელი პრინციპულობით წარმოაჩენენ იმ თანამშრომლებს, რომლებიც თავისი უპასუხისმგებლობით არცხვენენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლის სახელს. ვანამდე კი ველით ზემოთაღნიშნული სამსახურების ხელმძღვანელთა გამოხმაურებას ჩვენს გამოსვლაზე.**

# СОХРАНИТЬ ДЛЯ ПОТОМКОВ

Сбор документов и экспонатов, рассказывающих о славном пути, пройденном органами внутренних дел республики за годы Советской власти, подготовка к юбилейным датам тематических экспозиций — эти и многие другие задачи, имеющие большое идейно - воспитательное значение, стоят перед работниками создаваемого сейчас при МВД ГССР Музея истории Грузинской советской милиции. Собранные в музее материалы расскажут посетителям о роли В. И. Ленина, КПСС, Компартии Грузии в становлении органов внутренних дел, Грузинской советской милиции, совершенствовании их деятельности по укреплению социалистической законности и правопорядка.

В настоящее время музей располагает около 1500 экспонатов: фотографий, документов, наград, личных вещей сотрудников и т. д. К 40-летию Великой Победы в музее была открыта комната боевой славы, в которой собраны благодарственные телеграммы, вырезки из газет, рассказывающие о боевых действиях сотрудников ОВД республики — участников Великой Отечественной войны, письма, медали, документы. Стенд под названием «По велению долга и совести» посвящен сотрудникам, погибшим при исполнении служебных обязанностей: Э. Ченшвили, Г. Датуашвили, Г. Джапаридзе, Г. Тепоян, Е. Богверадзе.

В преддверии празднования 70-летия Великого Октября в музее идет подготовка к выставке «Всегда начеку», которая будет организована совместно с Союзом художников Грузии.

Работа проводится в музее большая, однако его помещение (в настоящее время экспозиции музея расположены в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского) не может должным образом вместить все имеющиеся экспонаты. Поэтому сейчас руководством МВД ГССР принято решение о создании нового здания музея на проспекте Церетели. Проект реконструкции помещения уже готов, сейчас совместно с архитекторами разрабатываются дополнительные технические точки и внешнее оформление музея.

На период создания музея и его последующей работы будет создан организационный комитет, в который войдут руководители ведущих служб, работники политорганов, партийных и комсомольских организаций министерства. Оргкомитет будет осуществлять контроль за идейным содержанием экспонатов, заслушивать и утверждать планы и отчеты поисковых групп. Создается и авторский коллектив музея, который должен разработать тематиче с к и й план музея по периодам истории, и плана-задания для поисковых групп.

Большую помощь в создании музея могут оказать сотрудники министерства, члены их семей. Поэтому руководство музея обращается к ветеранам ОВД республики, их семьям, к кадровым сотрудникам, к руководителям органов подразделений и учреждений министерства, ко всем, кому дорог авторитет органов внутренних дел с просьбой направлять в адрес оргкомитета музея документы, фотографии, государственные награды, знаки отличия, другие личные вещи.

Все, что сотрудники передадут музею, будет с благодарностью принято, изучено и использовано при создании экспозиций, подготовке лекций, информаций, научных исследований. Чем активнее будет помощь, тем образнее и ярче будут отражены подвиги работников милиции нашей республики.

Руководство музея надеется на отзывчивость сотрудников и заранее выражает признательность всем, кто будет способствовать становлению и развитию Музея истории Грузинской советской милиции.

**М. МОВСЕСЯН.**



ზაალ მესხენგისერი — რომანი

# მზე ისევ გამოანათებს

ბერძულმა წარბები შეჰყარა.

— ჰო, ბიჭო ძალიან გათამამდა. წერამ აიყვანა, მაგრამ მეც აქა ვარ ვნახოთ ვინ ვისა. მე მაშინ ლევან ბერძული არ ვიყო, შენცა და იმ ტრაპაიძესაც დედა თუ არ გიტირეთ.

— მერე მომიბრუნდა და ასე მითხრა, ამბაკოვიჩ: ჰილყვავი არაფერიაო, ერთი აქში და მისი ჯანიო, მაგრამ ფერმას რომ ორფეხა მგელი შეეჩვევა, ეს კი უბედურება არისო. რამდენ ხანს უნდა ატარტალოს ეს დასამიწებელი ენა იმ ოხერმა?

ბერძულმა მაგიდაზე დააკაკუნა.

— შენა ვაჟო ცუდად გცოდნია ერგემლიძეების გვარი. მამამისიც ასეთი შემტევი და უტეხი იყო. სიფრთხილეა საჭირო ვეჟო, სიფრთხილე. კატამ თუ ყველის სუნი იყნოსა, ყველი სხვაგან უნდა გადამალო. ახლა ჩვენთვის მთავარია ეს ოპერაცია ჩავფარცხოთ, ეჭვი არავინ აიღოს.

— ჩაფარცხული არაა, ამბაკოვიჩ?

— ჩაფარცხული კი არა, ხომ გაიგე, მთავარ უნივერმალთან ჩვენს საფინანსო ურთიერთობას ამოწმებენ. იქ კაცი ვიშოვე და დავატრიალე, ალბათ იმას, ვინც ამ საქმეში აქტიურობს, დავაბამთ. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასე ჩანს. შენ ხომ არ გგონია ეს საქმე ისე უბრალოდ დაიწყო. ვიღაცას ობეხეესში მოეპრიანა და გამოქექვას შეუდგა? არა ვეჟო, ასეთი რამ არ ხდება. ეს საქმე სწორედ მაგის დაწყებულია, ჰოდა, რადგანაც ერთხელ იკისრა ასეთი რამ არ კი მოისვენებს. ამიტომ სანამ არ მოგვიხვრჩვია, ფრთხილად უნდა ვიყოთ. ახლა მილიციას ალბათ ფერმაზეც მიუშვებს, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს, დარწმუნებული იყავი.

ოთარ ტრაპაიძე პარტიის რაიკომის შენობას რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა. იქნებ სჯობდეს, სულაც არ შეაწუხოს მდივანი და მის გამოძახებას დაელოდოს. რა მოხდა მერე? დიდი საქმე. ვიღაც არამზადამ ანონიმური წერილი დაწერა. თვითონ ოთარმა ხომ კარგად იცის, რვეულის ფურცელზე რაც დაუჯღაბნიათ, ყველაფერი მოგონილია და აშკარა სიცრუეა, მაგრამ იმ წერილის უკან ალბათ დიდი საქმეები იმალება, ამიტომ საჭიროა ყველაფრის საქმის კურსში რაიკომის მდივნის ჩაყენება.

რაიკომის შენობაში რომ შევიდა, უკვე აღარ მერყეობდა. მტკიცედ აჰყვა ზემოთ, მეორე სართულისაკენ მიმავალ საფეხურებს. მერე განიერ დერეფანს ხელმარჯვნივ გაჰყვა და მოზრდილ ოთახს მიადგა.

ოთარი სანამ კარს ზურგს უკან მოიხურავდა, შედგა. რაიკომის მდივანიც ფეხზე წამომდგარიყო, საწერი მაგიდის უკან იდგა და კარისაკენ იყურებოდა. ტრაპაიძეს ერთი შეავლო თვალი და ორივე ხელი გაშალა.

— მოდი, ოთარ, მოდი... ალბათ ისევ ჩაეფლე საქმეებში, იშვიათი სტუმარი გახდი.

— არც უმაგისობაა ამხანაგო თენგიზ.

ოთარი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა და მდივანს ხელი ჩამოართვა.

— მე სულ ათ წუთს წაგართმევთ, ამხანაგო თენგიზ.

— არა უშავს, ცოტა მეტიც შეიძლება, მერე ერთ თათბირს უნდა დავესწრო.

— დიდხანს არ დაგაყოვნებთ, — კვლავ მოიბოდიშა ოთარმა.

— ჰო, ბრძანე, რაშია საქმე?, შენ ტყუილად არ გაირჯებოდი.

— ალბათ თქვენთან უკვე მოვიდა ჩემზე ანონიმური წერილი.

მდივანმა გაიღიმა.

— არა, უკვე სამი მოვიდა. ოთარ — რაიკომის მდივანმა წარბები შეიკრა — მე შენ ძალიან კარგად გიცნობ.

ეს წერილები კი ძალიან მდარედაა დაწერილი. ალბათ მისმა ავტორებმა არ იცოდნენ, რომ შენმა მთელმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა. თორემ იმას არ დაწერდნენ, რომ შენ ბანდის წევრი იყავი. მაგრამ ეს წერილები კარგი სიგნალია, იქ, თქვენთან, რაღაც ხდება. ეს მითხარი, მთავარ აგრონომზე რას ფიქრობ, როგორი კაცია?

— მე მგონი პატიოსანი და კარგი მუშაკია.

— დარწმუნებული ხარ?

— ჯერჯერობით მე სხვა საბუთი არა მაქვს.

— არა, საქმე რაშია იცი? ბერძული იყო ამასწინათ და კარგა გვარიანად გამოლანძღა. ადრე სულ აქებდა. ახლა კიდევ რატომღაც სხვა აზრი გამოთქვა.

— ბერძულმა? — იკითხა ტრაპაიძემ.

— ჰო, ბერძულმა, აბა კიდევ ვინ.

— ჩემთან კი აქო.

— ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად აწონე. ჩვენ შენ გენდობით.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12-14.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპორტი — СПОРТ

# „დინამო" იმარჯვებს

წარმატებით ჩაატარეს თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა კიევში გამართული ჩემპიონატის მორიგი ტური. ქართველმა სპორტსმენებმა 4 შეხვედრიდან ზედიზედ 3 მოიგეს და ერთში დამარცხდნენ — ეს ბოლო შეხვედრა დინამოელებმა დათმეს კიევის არმიელებთან — 103:96 (47:55) თბილისელებს ახლა 5 გამარჯვება აქვთ და სატურნირო ცხრილში ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისის" შემდეგ მესამე ადგილზე არიან.

ამჟამად საკავშირო ჩემპიონატში შესვენებაა — ქვეყნის პირველი ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად ემზადება.




## ПОЖАРНЫЙ ОБВИНЕН... В ПОДЖОГАХ

**Единственному штатному сотруднику добровольной пожарной дружины города Галфпорт (штат Миссисипи) Джереллу Элзи грозит тюремное заключение и большой денежный штраф за слишком пылкое отношение к служебным обязанностям. На днях ему было предъявлено обвинение в поджоге. В мае этого года он подпалил пустующее здание одного из городских ресторанов, чтобы подростки из созданной им организации «Юный пожарник» могли тренироваться в реальных условиях.**

**Арест «энтузиаста» пожарного дела вызвал искреннее сожаление его непосредственного начальства. «Не знаю, сможем ли мы найти Элзи достойную замену, — сокрушенно вздыхает шеф городского пожарного управления Джон Нокс, — этот парень проявлял настоящую заинтересованность». Правда, столь высокая оценка деятельности Элзи не помешала Ноксу отдать распоряжение, чтобы подростков из «Юного пожарника» на пушечный выстрел не подпускали к пожарному депо.**


## ცხადდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე"

ხელმოწერა ვრცელდება შინაგან საქმეთა ორგანოების და ქვედანაყოფების პირად შემადგენლობაზე (მილიციის, სახანძრო და არასაუწყებო დაცვის, შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების, შს სამინისტროს სასწავლო ქვედანაყოფების) აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სასამართლოების და პროკურატურების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ოპერატიულ-კომკავშირული რაზმეულების, სახანძრო-საგუშაგო დაცვის მუშაკებზე, შს სამინისტროს პენსიონერებზე.

ხელმოწერა საქალაქო, რაიონულ, სახაზო განყოფილებებსა და ქვედანაყოფებში გამოყოფილ გაზეთის საზოგადოებრივი გამავრცელებლების მიერ ფორმდება მხოლოდ „სოიუზპეჩატის" ადგილობრივ განყოფილებებში.

წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

გაზეთის გამოწერა წარმოებს მხოლოდ სამსახურეობრივ მისამართზე. რედაქცია გთხოვთ დროულად ჩაატაროთ ხელმოწერა გაზეთზე — შეავსოთ მისი მკითხველთა რიგები. გამოცემის ინდექსია — 66639. ხელმოწერა გრძელდება ა. წ. 1 ნოემბრამდე.

მებრძოლი გუშაგი — Боевой СТРАЖ

## ОБЪЯВЛЯЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ»

Подписка проводится среди личного состава органов и подразделений внутренних дел (милиции, пожарной и вневедомственной охраны, ИТУ, учебных подразделений МВД), а также среди работников партийных, советских, профсоюзных и комсомольских органов, суда и прокуратуры, пенсионеров МВД, пожарной охраны, членов ДНД, добровольного противопожарного общества, общественных пунктов охраны порядка, оперативных комсомольских отрядов, пожарно-сторожевой охраны.

Подписка оформляется только местными отделениями агентства «Союзпечать» через общественных распространителей газеты, выделенных в горрайорганах и подразделениях.

Подписная цена на год — 3 руб. 12 коп.

Подписка оформляется на служебный адрес.

Редакция просит своевременно провести подписку на газету, пополнить ряды ее читателей.

Индекс издания 66639. Подписка продолжается до 1 ноября т. г.


## რადიო

**ორშაბაში, 12. X**
**პირველი პროგრამა**

9.25 — პუბლიცისტის სიტყვა — ნარკომანიის პრობლემები. მიკროფონთან მწერალი ვ. ჩხიკვაძე.

19.40 — „ადამიანი და კანონი" — რადიოჟურნალი.

**შაბათი, 17. X**

19.00 — „შოლტი" — რადიოჟურნალი.

## ტელევიზია

**პარასკევი, 16. X**
**პირველი პროგრამა**

19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი).

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 14584